სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/193

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანლის 2024 წლის 20 ნოემბრის № 1499419 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-02/35 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის (შემდგომ – პროგრამა) კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. დისტანციური სწავლება და მისი ფორმები

1. დისტანციური სწავლება გულისხმობს სრულად თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, მის დისტანციური/ელექტრონული ფორმით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.

2. დისტანციური სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. **სინქრონული კომუნიკაცია** გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო **ასინქრონული კომუნიკაცია** – ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება.

3. დაუშვებელია უნივერსიტეტში პროგრამა განხორციელდეს დისტანციური სწავლების სრულად ასინქრონული ფორმით.

მუხლი 3. პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელება

1. უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტები, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასებაა შესაძლებელი, განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით და ეფუძნება მას.

2. უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების და/ან პროფესიული გადამზადების პრორამის სრულად დისტანციური სწავლება დასაშვებია, მხოლოდ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. წინამდებარე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიუხედავად პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობის არსებობისა, გადაწყვეტილებას პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების თაობაზე იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, აგრეთვე პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების თაობაზე ინფორმაცია გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამის პროგრამაში.

4. დაუშვებელია:

ა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლება დისტანციური ფორმით.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება დისტანციური ფორმით.

5. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესის ორგანიზება არადისტანციური ფორმით.

6. უნივერსიტეტის კონკრეტული პროგრამის კომპონენტის დისტანციურად განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტი უშუალოდ კონკრეტული პროგრამისთვის ადგენს დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებს, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია წესის დამტკიცებისათვის გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.